სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი

წევრის ნინო ბახტურიძის საქმიანობის წლიური ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

(საანგარიშო პერიოდი: 2023 წლის **1 ნოემბრიდან 2024 წ 15 ოქტომბრამდე**)

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი და კულტურის, განათლების,ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. საანგარიშგებო პერიოდში ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, საქმიანობა ხორციელდებოდა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

პირველი მიმართულება მოიცავს საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობას, რაც გულისხმობს საკრებულოს ერთი კომისიის საქმიანობასა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს 16 სხდომიდან დავესწარი 13-ს. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

ჩატარდა კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის 8 სხდომა ,აქედან დავესწარი 6-ს.

აღნიშნული კომისია,როგორც მოგეხსენებათ, შექმნილია მის სფეროს მიკუთვნებული საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების , გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს , მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 9 წევრით. კომისიის კომპეტენციის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები :

1. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის“ დირექტორის შოთა ბეგიაშვილის 2023 წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.
2. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი 2024-2027 წლების განვითარების დოკუმენტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
4. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოს“ დირექტორის ქეთევან ნადირაშვილის 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.
5. ა(ა).ი.პ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორის თენგიზ მოსულიშვილის 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

მომხსენებელი: თენგიზ მოსულიშვილი

6. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების რეფორმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ
7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. „სიღნაღის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრის“ დირექტორის ნათელა ნადიკაშვილის 2023 წლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტრატეგიისა და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

9. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ დირექტორის თინათინ ბეგიაშვილის 2023-2024 სააღმზრდელო წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

10. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 აპრილის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

11. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ 2024-2025 სააღმზრდელო წლისათვის მზადყოფნის შესახებ.

12. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანების“ დირექტორის ლალი ფოლადაშვილის 2023 -2024 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

მეორე მიმართულება : ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი. საბჭო მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით.

მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან, მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები, რაც ძირითადად შეეხება: სოციალურად დაუცველთა პრობლემებს, მედიკამენტების, ოპერაციებისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსებასა და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მერიაში არსებული სოციალური დახმარების კომისიის- 48 სხდომა , სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. ნუკრიანში ისარგებლა 215-მა მოქალაქემ შემდეგი მუხლებით:

სამედიცინო დახმარების მუხლი ; შშმ პირთა სოციალური დაცვა , ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება ; მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა ;სტუდენტთა დახმარება ,დიალიზის პროგრამა,მრავალშვილიანი დედების დახმარება.

ჩემი ჩართულობით დაიგეგმა და მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

- სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერისა და მერის წარმომადგენლის მხარდაჭერით ნუკრიანში ჯავრიშვილის თვალის მიკროქირურგიის კლინიკა ,,ოფთალმიჯის" ექიმებთან 140-მდე ადამიანმა ისარგებლა უფასო კვლევა-კონსულტაციით. მათ ჩაუტარდათ შესაბამისი კვლევები , დაესვათ დიაგნოზი და გაუკეთდათ ოპერაციები.
- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში,კერძოდ კალოებზე დამთავრდა გარდამავალი პროექტი-საუბნო გზის რეაბილიტაცია .
- ნუკრიანის ორივე საჯარო სკოლის ბაზაზე მესამე წელია ფუნქციონირებს რაგბის უფასო წრე. რაგბის პოპულარიზაციისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის,მერის წარმომადგენლის , რაგბის ფედერაციის , ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის თაოსნობით და ჩემი ხელშეწყობით, სოფელ ნუკრიანში,სკოლის სტადიონზე კახეთის ზონის პირველობა - „ ქიზიყის ფარი“ ჩატარდა. ადგილობრივი ძალებით,სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამაში ჩართული მოქალაქეების მონაწილეობით

დავასუფთავეთ სტადიონი,გაითიბა ბალახი,შეკეთდა დაზიანებული ღობე.გამარჯვებული გუნდები შესაბამისი თასებითა და საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

- ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ხელახლა დაპროექტდა გარე განათებაც,დაემატა უბნები,სადაც მანანდე არ იყო ქსელები და დაიწყო ამ პრობლემის მოგვარებაც.
- კვლავ აქტიურად ვთანამშრომლობ საქართველოს წითელი ჯვრის სიღნაღის ფილიალთან. ერთობლივად ვეხმარებით სოციალურად დაუცველსა და შშმ პირებს სასურსათო ამანათებითა და ჰიგიენური საფენებით.
- სოფელ ნუკრიანში ,,ტოღნოღაანთ" უბნის გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და თითქმის დასასრულს მიუახლოვდა. მოწყობილია ღია სანიაღვრე სისტემა და 650 მეტრ სიგრძეზე ასფალტის პირველი ფენა უკვე დაგებულია.გზის რეაბილიტაცია მთის ფონდით ფინანსდება და მასზე 937 774 ლარი იხარჯება, ჯამში ერთი კილომეტრი სიგრძის გზა მოეწყობა.
- მოსწორდა და მოშანდაკდა სასოფლო-სამეურნეო გზები. რაც მოსახლეობისათვის დიდ პრობლემასა და საფრთხეს წარმოადგენდა მოსავლის აღების პერიოდში.

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა და კეთილმოეწყო სოფელ ნუკრიანში, N 17 საბავშვო ბაღის ეზო.

პროექტი 256 კვ.მ ფართობის ეზოს რეაბილიტაციას ითვალისწინებდა და მთის ფონდიდან 58 872 ლარით დაფინანსდა.

- ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის ორგანიზებით, მიმდინარე წლის 18 მაისს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუკრიანში, სპორტდარბაზის შენობაში კიკბოქსინგში რესპუბლიკური ტურნირი "სიღნაღის თასი" გაიმართა.

- არასამთავრობო ორგანიზაციამ "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის" სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი რვა გადასაადგილებელი ეტლი გადასცა. ეტლების გადაცემის პროცესში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერთან მალხაზ ბეგიაშვილთან, მოადგილესთან გოჩა ვარდიაშვილთან და მერის წარმომადგენელთან ერთად ჩავერთე.
- წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში , ვმონაწილეობ პრემიერ-მინისტრის ინიცირებულ საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამის განხორციელებაში. პროექტი სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად.

პერიოდულად მაქვს სამუშაო შეხვედრები სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერთან სოფელ ნუკრიანში მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების ანალიზისა და პრობლემების განხილვის მიზნით. ვთანამშრომლობ მერიის სამსახურთან და ყველა შესაბამის სრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხებში.

ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე კომუნიკაციას ნუკრიანის მაცხოვრებლებთან, ვეცნობი მათ პრობლემებს და მაქსიმალურად, ჩემი კომპეტენციისა და კანონმდებლობის ფარგლებში ვცდილობ, გადავჭრათ პრობლემატური საკითხები.

ნინო ბახტურიძე-მაჟორიტარი დეპუტატი სიღნაღის საკრებულოში